

*ტექსტის გაგება-გააზრების პრობლემის კვლევა დაწყებით საფეხურზე
ინგლისურ ენაში (მე3 კლასი)*

*ააიპ-საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუსის ეპარქიის
ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის
ინგლისური ენის მასწავლებლის მანანა ბაშინჯაძელის
პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში.*

2018-2019 სასწავლო წელი

სარჩევი

შესავალი	3
თავი I	
საკვლევი საკითხის მიმოხილვა, კვლევის მიზანი და ამოცანები	4
საკვლევი საკითხის მიმოხილვა	4
1.2 პრობლემის აქტუალობის დასაბუთება	4
1.3 კვლევის მიზანი და ამოცანები	4
თავი II	
ლიტერატურის მიმოხილვა	5
თავი III	
კვლევის არსი, ძირითადი საკვლევი საკითხები	8
თავი IV	
კვლევის დიზაინი	9
4.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი	9
4.2 კვლევის მეთოდები	9
4.3 კვლევის ვადები	9
თავი V	
კვლევის შედეგები	10
5.1 მონაცემთა ანალიზი	10
5.2 კვლევის მიგნებები	12
თავი VI	
ინტერვენციის (ჩარევის) განხორციელება და შეფასება	12
6.1 ინტერვენციის დაგეგმვა და განხორციელება	12
6.2 ინტერვენციის შეფასება	14
თავი VII	
დასკვნა და რეკომენდაციები	14
დანართები	15
ბიბლიოგრაფია	18
რეზიუმე	19

შესავალი

უცხოური ენა, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილი, სასკოლო განათლების მთავარი სახელმწიფო მიზნის განხორციელებას ემსახურება, კერძოდ, ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი პიროვნების აღზრდას, რომელიც შეძლებს თავისი წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. უცხოური ენის სწავლების პრიორიტეტული მიზნებია მოსწავლეს განუვითარდეს პლურილინგვური კომპეტენცია, სამეტყველო უნარები (მოსმენა, კითხვა, წერა, საუბარი), განსხვავებული კულტურული კონტექსტებისა და ტექსტების გაგების უნარი და ა.შ. აღნიშნული საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, უცხოური ენის სწავლება სკოლაში ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას, როგორიცაა გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნა, ტექსტის სახეებისა და მათი მახასიათებლების ცოდნა.

თანამედროვე მსოფლიოში კომუნიკაცია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო და კულტურულ სფეროში ძირითადად ინგლისურად მიმდინარეობს. შესაბამისად, ინგლისური ენის ცოდნის გარეშე ვერც ერთი ქვეყანა ვერ მიაღწევს წარმატებას საერთაშორისო ასპარეზზე.

ტექსტის გაგება-გააზრების პრობლემა სამწუხაროდ, თანამედროვე სასკოლო ცხოვრებაში მშობლიურ ენაშიც დგას, რა თქმა უნდა უცხო ენაში მარტივი ლოგიკიდან გამომდინარე ეს პრობლემა უცხო არ არის, განსაკუთრებით აქტუალურია იგი დაწყებით საფეხურზე, როცა მოსწავლეები ბოლმდე ვერ იაზრებენ რა არის ტექსტი, როგორ უნდა იქნას გაგებული მისი შინაარსი, რა დაეხმარებათ მათ ამაში. სწორედ ეს მიდგომა გახდა ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მიზეზი.

კვლევა ჩავატარე ქარელის ააიპ ქ. ქარელის რუისისა და ურბნისის ეპარქიის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიაში დაწყებით საფეხურზე. თემა: ტექსტის გაგება და-გააზრების პრობლემა. (მე-3 კლასში).

წაკითხულის გააზრება ერთერთია იმ აქტივობებიდან, რომელსაც ახორციელებს მასწავლებელი თითოეულ გაკვეთილზე. ამიტომ აქ წარმოშობილი პრობლემა უცხო არავისთვის არის. პრობლემა საიდან იწყება? ვინ არის პასუხისმგებელი? როგორ უნდა შევაჩეროთ მსგავსი ტიპის პრობლემები? ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად გადავწყვიტე განმეხორციელებინა საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა,

ინგლისურ ენაში სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულება უწევთ მე-3 კლასელებს. მიუხედავად სირთულისა სწავლობენ წერას, კითხვას, მაგრამ მთავარი პრობლემა მაინც არის წაკითხული ტექსტის გააზრება.

ჩემმა პედაგოგიურმა გამოცდილებამ მიჩვენა, რომ აღნიშნული პრობლემა ყოველთვის აქტუალურია, რაც უფრო გადის წლები მით უფრო უჭირთ მოსწავლეებს ტექსტის შინაარსის გაგება, რაც მრავალი პრობლემით შეიძლება იყოს გამოწვეული. ტექსტის გააზრება ეხმარება მოსწავლეს აზრის უკეთ წარმოჩენაში, მეტყველებაში სწორი აქცენტების გაკეთებაში. ამიტომ ინგლისური ენის სწავლებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ დავალების შესრულებას.

თავი I

საკვლევი საკითხის მიმოხილვა, კვლევის მიზანი და ამოცანები

1.1 პრობლემა და საკვლევი საკითხი

კვლევის განხორციელებისას მინდოდა დამედიგინა რატომ უჭირდათ ბავშვებს ტექსტის გაგება-გააზრება. იყო ამის მიზეზი ტექსტის მოცულობა, უინტერესო ტექსტი. ლექსიკის არასაკმარისი ცოდნა,თუ სხვა. ასევე ბუნებრივია უნდა დავსვათ საკითხი, რითი მოვაგვაროთ და ვუშველოთ აღნიშნულ პრობლემას?

დავიწყე ფიქრი იმაზე, როგორ შემემსუბუქებინა მოსწავლეებისთვის ტექსტის გააზრება- გაგება. პირველ რიგში ვაკვირდები ტექსტის ტიპებს. რა უფრო უჭირთ მოსწავლეებს საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება თუ მხატვრული ტექსტის .

უამრავი ლიტერატურა არსებობს აღნიშნულ საკითხზე. ბევრი თქმულა და დაწერილა „ მკვლევარია ის მასწავლებელი, რომელსაც შეუძლია პედაგოგიური საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემის იდენტიფიცირება, მათი გადაჭრის გზების ძიება და პოვნა“- (ს. ლობჟანიძე, რა არის პრედაგოგიური პრაქტიკის კვლევა). პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა არის დაგნერგოთ სიახლე ჩვენს სქმიანობაში, განვითარდეთ პროფესიაში.

ვიდრე კვლევას დავიწყებდი გადავწყვიტე ჩამეტარებინა გამოკითხვა კოლეგებთან და დამედიგინა,რომელ საფეხურზე იყო ყველაზე მეტად გავრცელებული ტექსტის გაგება-გააზრების პრობლემა.

ჩემი კოლეგებისგან მივიღე ვარაუდები, პრობლემის გამომწვევი ფაქტორები. ეს შეიძლება იყოს რთული სახელმძღვანელოები, მშობელთა არასაკმარისი ჩართულობა, დაბალი ინტერესი.

1.2 პრობლემის გამომწვევი მიზეზები

- მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი
- ტექსტის სიდიდე
- მოსწავლეთა დაბალი წიგნიერების მაჩვენებელი უცხო ენაში.

1.3 კვლევის მიზანი და ამოცანები

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მიზნად ისახავდა საგაკვეთილო პროცესში მოსწავლის მიერ ინგლისური ენის შესწავლისას ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას, მათი გამომწვევი მიზეზების შესწავლას, სათანადო ინტერვენციების განხორციელებასა და ამ გზით მოსწავლეებში ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარების ხელშეწყობას.

აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე დავსახე შემდეგი ამოცანების შესრულება:

- ✓ ინგლისური ენის სწავლების პროცესში დაკვირვება თითოეულ მოსწავლეზე მათი ხედვისა და საჭიროებების გამოსავლენად;
- ✓ მასწავლებელთა, მოსწავლეთა, მშობელთა გამოკითხვა ანკეტირების გზით;
- ✓ მონაცემების შეგროვება და ანალიზი;
- ✓ ინტერვენციების დაგეგმვა-ჩატარება და მიღებული შედეგების შეჯამება.
- ✓ შედეგებისა და დასკვნების წარდგენა;
- ✓ რეკომენდაციების შემუშავება და გაზიარება კოლეგებთან;

თავი II

ლიტერატურის მიმოხილვა

ეროვნული გეგმის მიხედვით ინგლისურ ენაში სხვადასხვა მიმართულებები არსებობს. საქართველო, როგორც ევროსაბჭოში შემავალი ქვეყანა, ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვანი სივრცის წევრია. უცხოური ენების ცოდნის გარეშე შეუძლებელია ამ სივრცეში ინტეგრირება და საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება, ამიტომ ზოგადი განათლების ეროვნული სასწავლო გეგმა ორი ან სამი უცხოური ენის სწავლებას ითვალისწინებს.

წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრებაზე არსებობს მეთოდური ლიტერატურა. რა მეთოდი გამოვიყენოთ ამა თუ იმ დავალების შესრულებაში, რათა დავეხმაროთ მოსწავლეებს. ეროვნული სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ; კითხვის უნარის განვითარება სხვადასხვა კომპონენტებს მოიცავს

- ფონოლოგიური უნარ-ჩვევები;
- ლექსიკური მარაგი;
- გაგება- გააზრება;

ეს კომპონენტები ყველა ენის შესწავლისას არის საჭირო აუცილებელი. თუ რომელიმე კომპონენტი ჩავარდა ეს იქნება ერთერთი სიგნალი რომელიც გვაფრთხილებს, რომ ენის სწავლებაში ყველაფერი რიგზე არ არის.

საქართველოში ჩატარებული კვლევების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ რომ წაკითხულის გაგება-გააზრება მშობლიურ ენაზე მოსწაღეთა 14%-ს მინიმალურ დონეზე არ შეუძლია. საინტერესოა რომ გავცნობოდი ასეთ კვლევას ინგლისურ ენაშიც რა იქნებოდა მაჩვენებელი?- ვფიქრობ უფრო დიდი პროცენტი. რადგან მოსწავლეებში აღნიშნული პრობლემა უფრო მკვეთრად გამოხატული.

დაწყებით კლასებში იწყება აღნიშნული პრობლემა და თითქმის ნელ-ნელა სწორდება ზედა კლასებში. ამის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ უკვე ასაკი, ლექსიკურ მარაგის სიმდიდრე და უფრო მეტი .როგორც თამარ შანიძე თავის სტატიაში “უცხო ენაში ცოდნის აგების ხელშემწყობი ფაქტორები “ აღნიშნავს უცხო ენის შესწავლის პროცესში მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებებისა თუ გარემოებების გამო სხვადასხვა პრობლემებს ვხვდებით. ენების შესწავლის უმნიშვნელოვანესი თავისებურება ტრადიციული თუ არატრადიციული მიდგომებით ლექსიკური ფონდის დასწავლაა, რაც მათგან მოითხოვს საკითხზე მობილიზებას, კონცენტრირების გამო აუცილებლობით მოეთხოვებათ, უარი თქვან გართობაზე და მთელი დრო დაუთმონ სასწავლო პროცესს. ამგვარი სასწავლო გარემოს განტივირთვისა და მათთვის საინტერესო გარემოს შექმნაში ნიშანდობლივია თანამედროვე მიდგომები. უცხო ენის შესწავლის პროცესში განმტვირთველი ფუნქციით ეფექტურია კონსტრუქტივიზმი.

შვეიცარიელი ფსიქოლოგის ჟან პიაჟეს თეორიის მიხედვით „კონსტრუქტივიზმი“-ის ცნების განმარტება მარტივი არ არის, რადგან ის სხვადასხვა სიტუაციაში განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება. ცნების დედააზრი მომდინარეობს სიტყვა აშენებიდან და ამ შინაარსითვე გამოიყენება ხშირ შემთხვევაში. კერძოდ, ახალი ცოდნა იგება უკვე მოპოვებული ცოდნის ბაზაზე. თეორიის მიხედვით მოსწავლე არ არის დავალებების პასიური შემსრულებელი, ის აქტიურად მონაწილეობს მის შერჩევაში, ინტერპრეტირებაში და ირჩევს იმ ვარიანტს, რომელიც უკვე მის მიერ მიღებული ცოდნის სქემაში მოიაზრება. კონსტრუქტივისტული თეორიის ორი ძირითადი ცნება- ასიმილაცია და აკომოდაცია უცხოური ენის შესწავლის პროცესისათვის, როგორც სხვა საგნების შესწავლისას, შემდეგნაირად განიმარტება. ასიმილაცია –ეს ისეთი კოგნიტური პროცესია, როცა მოსწავლე ინფორმაციას იღებს წინასწარ მიღებული ცოდნის კონსტრუქციის ინტერპრეტაციით და

ახალ გამოცდილებას ამატებს თავის ცოდნას. ამ შემთხვევაში მოსწავლე უცხოური ენის შესწავლას იწყებს საერთაშორისოდ ცნობილი და ყოველდღიურობაში აქტიურად გამოყენებული ლექსიკის შეთვისებით, სადაც ის მარტივად აღიქვამს როგორც სიტყვას, აგრეთვე მის მნიშვნელობას და უჩნდება სურვილი მასთან დაკავშირებული სხვა ტერმინოლოგიაც შეისწავლოს. პროცესი გაცილებით საინტერესოა, თუ ეს სახალისო აქტივობებით ხორციელდება, სიმღერით ან თამაშის სხვადასხვა სახეობით. აკომოდაციის პროცესი უცხო ენის შესწავლის დროს ეფუძნება მოსწავლის მიერ უკვე აგებული ცოდნის კონსტრუქციაში ცვლილებას. ის მაშინ იჩენს თავს, როცა ახალი ინფორმაცია და უკვე არსებული სქემის კომპონენტები წინააღმდეგობაში მოდიან და არ ინტეგრირდებიან ერთობლიობად. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეს უწევს დაისწავლოს ლექსიკის გარკვეული ნაწილი და ეს ნაკლებად მტკივნეულია, ვიდრე ასოციაციური კავშირების გარეშე სწავლება. თუ აკომოდაციის პროცესში პედაგოგი აქტიურად იყენებს მოსწავლის ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით აგებულ თვალსაჩინო მასალას, მაშინ დასწავლის პროცესის სირთულე კიდევ უფრო მსუბუქდება და სახალისო ხდება. (“უცხო ენაში ცოდნის აგების ხელშემწყობი ფაქტორები”)(<http://mastsavlebeli.ge/?p=21033>)

უცხოური ენების სწავლების მიზნები და ამოცანები

უცხოური ენის სწავლების პრიორიტეტული მიზნებია:

- ენობრივი ცნობიერების გამდიდრება და ამ გზით ენობრივი განათლების დონის ამაღლება;
- სამეტყველო უნარ-ჩვევების (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი) განვითარება მინიმუმ ორ უცხოურ ენაზე;
- სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- დადებითი განწყობილების ჩამოყალიბება ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების მიმართ;
- განსხვავებული კულტურული კონტექსტებისა და ტექსტების გაგების უნარ-ჩვევების განვითარება;
- სხვადასხვა ენობრივ-კულტურული იდენტობის წარმომადგენლებთან თანამოღვაწეობის უნარის გამომუშავება;
- ენების ეფექტიანად სწავლის უნარ-ჩვევების განვითარება.

ამ საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, უცხოური ენების სწავლება სკოლაში ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას, რომლებიც სამ კატეგორიად იყოფა:

1. სხვადასხვა ტიპის ცოდნის შეძენა:
 - გრამატიკული, ლექსიკური ცოდნა;
 - მართლწერისა და მართლმეტყველების საბაზისო ნორმების ცოდნა;
 - უცხოენოვანი ქვეყნების სოცოკულტურისა და კულტურის გაცნობა;
 - ტექსტის ტიპებისა და მათი მახასიათებლების ცოდნა.
2. სხვადასხვა სახის უნარ-ჩვევების განვითარება:
 - სამეტყველო უნარ-ჩვევები;
 - ენობრივი უნარ-ჩვევები;
 - სტრატეგიული უნარ-ჩვევები;
 - სამოქალაქო უნარ-ჩვევები.
3. დამოკიდებულებების ჩამოყალიბება:

- ინდივიდუალური მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა;
- ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა;
- კულტურული გარემოს თვითმყოფადობის, მისი განუმეორებლობის დაფასება და პატივისცემა;
- პოზიტიური დამოკიდებულება როგორც კულტურული, ისე ინდივიდუალური მრავალფეროვნების მიმართ და მისი, როგორც სამყაროს მრავალფეროვნების კერძო გამოვლინების აღქმა;
- ინტერესი უცხო სამყაროს მიმართ.

თავი III

კვლევის არსი ძირითადი საკვლევ საკითხები.

ტექსტის წაკითხვა და ზოგადად წიგნთან ურთიერთობა , ყველა დროის პრობლემაა, ასევე ყველა თაობის. ისიც ცნობილია რომ კითხვა გააზრების გარეშე არაფერია და გააზრება კითხვის გარეშე შეუძლებელი. საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეს ვხედავთ, რომ კითხულს გამართულად , მაგრამ ტექსტის გააზრებას ვერ ახერხებს, ვერ პასუხობს ტექსტის შესახებ მარტივ კითხვებს, არ შუძლია საკუთარი აზრის გადმოცემა, ტექსტიდან იგივე სიტყვებით საუბრობს რაც იმას ნიშნავს, რომ ვერ იაზრებს წაკითხულს. ბუნებრივია ისმის კითხვა. რატომ უნდა უჭირდეს თუნდაც მე-3 კლასელს ტექსტის გააზრება?- მაშინ როცა აღნიშნული პრობლემა შეიძლება შეგვხვდეს ზედა საფეხურზეც და იქ რა თქმა უნდა განგაშიცაა ასატები. უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემა სწორედ რომ დაწყებით საფეხურზე იწყება, თუ მოსწავლე თავიდანვე არ იქნება დაუფლებული ტექსტის გააზრებისთვის საჭირო უნარებს მას უფრო გაუჭირდება ზედა კლასებში მარტივი მიზეზის გამო. მასალაც მოიმატებს ლექსიკური მარაგი და სულ უფრო მეტი სიტყვების ცოდნა იქნება საჭირო აზრის გამოსატანად.

ბუნებრივია ყველა მასწავლებლის ამოცანაა ხარისხიანი განათლების მიცემა მოსწავლისთვის, ამიტომ აღნიშნული პრობლემა რამდენიმე კითხვას აჩენს :

- რა ტიპის ტექსტები მოსწონთ მოსწავლეებს
- როგორ ტექსტებთან აწყდებიან სირთულეებს?
- კითხულბენ თუ არა სახლში დამტებით უცხოურ ლიტერატურას?
- რა უფრო ურჩევნიათ გააზრებისთვის მოსმენილი ტექსტი თუ წაკითხული?

თავი IV კვლევის დიზაინი

4.1. კვლევის სამიზნე ჯგუფი

კვლევა ჩავატარე ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ურბნისისა და რუისის ეპარქიის ქარელის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიაში, მესამე კლასში სადაც ირიცხება 16 მოსწავლე.

4.2. კვლევის მეთოდები

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ჩასატარებლად გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები:

უბრალო და ფოკუსირებული დაკვირვება - ამ მეთოდს მივმართე სკოლაში ინგლისური ენის სწავლების პროცესზე დასაკვირვებლად;

ინტერვიუ მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან - აღნიშნული მეთოდი დამეხმარა გამერკვია ინგლისური ენის მასწავლებლებისა და მოსწავლეების დამოკიდებულება ტექსტის გაგება-გააზრებასთან დაკავშირებით და გამომეკლინა თუ რა პრობლემებსა და სირთულეებს აწყდებიან ტექსტის კითხვის პროცესში.;

ანკეტირება/გამოკითხვა - ანკეტირების მიზნით გამოვიყენე სპეციალურად მომზადებული კითხვარები (იხ. დანართები №№1-3) დაწყებითი კლასებისა და უცხო ენის მასწავლებლებისათვის, მე-3 კლასის მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის. რესპოდენტთა მეტი თავისუფლებისა და გულწრფელობის უზრუნველყოფის მიზნით გამოკითხვა იყო კონფიდენციალური, მოიცავდა დახურული ტიპის კითხვებს.

4.3 კვლევის ვადები

აქტივობა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
საკვლევი თემის განსაზღვრა	X					
კვლევის მეთოდის შემუშავება	X					
მონაცემთა შეგროვება		X	X			
მონაცემთა ანალიზი			X			
ინტერვეციების დაგეგმა და განხორციელება			X	X	X	
ინტერვენციების შეფასება					X	
პრეზენტაცია						X

თავი V კვლევის შედეგები


5.1 მონაცემთა ანალიზი

დაკვირვების დროს გამოვლინდა, რომ მოსწავლეები უფრო ადვილად იაზრებდნენ ილუსტრირებულ-მცირე ზომის ტექსტებს.

მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ინტერვეუების გაანალიზების შემდეგ გამოვლინდა რომ ბავშვები უფრო ადვილად იგებენ მცირე მოცულობის დასურათებულ ტექსტებს. შედარებით უადვილდებათ წაკითხულის და არა მოსმენილის გააზრება. უჭირთ შედარებით დიდი ზომის ტექსტების გაგება.

მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ანკეტირების გაანალიზების შედეგად მივიღეთ შემდეგი სურათი.


გამოკითხულ მასწავლებელთა 24 % ამბობს, რომ კითხვის გააზრებისთვის უმეტესად იყენებს როლურ თამაშს, 32 % - აუდიო მასალას, ხოლო 44 % კითხვის დასმას.



ტექსტის გაგება-გააზრების გაადვილებისთვის მასწავლებელთა უმრავლესობა იყენებს ასევე სწორია/არასწორია, სიტყვის ჩასმის, „როლური თამაშის“ მეთოდებს. საჭიროების შემთხვევაში განუმარტავს საკვანძო სიტყვებს და უსვამს დამატებით შეკითხვებს.

კითხვაზე რა უფრო უჭირთ მოსწავლეებს მასწავლებელთა 41 %-მა უპასუხა, რომ ბავშვებს უფრო უჭირს ტექსტის გაგება-გააზრება, 32 %-მა - წერა და 27 %-მა კითხვა დაასახელა.

რა უფრო უჭირთ მოსწავლეებს?




გამოკითხვა ჩავატარე აგრეთვე მშობლებთან. მიხდოდა გამეგო, რა დროს უთმობენ მათი შვილები სახლში დამატებით აქტივობებს. კთხულობენ თუ არა ლიტერატურას ინგლისურ ენაზე. მაგალითად მარტივ ზღაპრებს.

გამოკითხვის ანალიზის შემდეგ მივიღეთ შემდეგი სურათი:

კითხულობს თუ არა თქვენი შვილი სახლში უცხოურ ლიტერატურას

■ კი ■ არა ■ იშვიათად



მოსწავლეთა გამოკითხვამაც აჩვენა, რომ მათ უმრავლესობას არ უყვარს კითხვა ინგლისურ ენაზე, მაგრამ თუ კითხულობენ ურჩევნიათ ილუსტრირებული ზღაპრების კითხვა, ან სხვის მიერ წაკითხულის მოსმენა და შინაარსის გადმოცემა უმეტესობას ნახატი ურჩევნია.

5.2 კვლევის მიგნებები

სამიზნე კლასის მაგალითზე გამოიკვეთა რომ ტექსტის გაგება-გააზრებას ხელს უშლის ბავშვების მწირი ლექსიკა, ენის შესწავლაში მშობელთა ნაკლები ჩართულობა.

გამოიკვეთა ასევე გაკვეთილზე ისეთი სახალისო აქტივობების ჩართვის საჭიროება, რაც გაუადვილებს მოსწავლეებს ტექსტის გაგება-გააზრებას.

თავი VI

ინტერვენციის (ჩარევის) განხორციელება და შეფასება

6.1. ინტერვენციის განხორციელება და შეფასება

მონაცემთა ანალიზის შემდეგ დავსახე და სამიზნე კლასში განვახორციელე შემდეგი ინტერვენციები.

განვახორციელე მოკლევადიანი პროექტი „მე მიყვარს ინგლისურ ენაზე კითხვა“- წავიკითხეთ რამდენიმე სახალისო ზღაპარი. გავაკეთეთ როლური თამაშიც. აღნიშნულმა პროექტმა კარგად იმოქმედა ბავშვებზე. მოვაწყვეთ დისკუსია, გმირების დახასიათება. მივედი დასკვნამდე, რომ თუ საგაკვეთილო პროცესშიც გამოვიყენებდი მსგავს ელემენტებს საინტერესო და მიმზიდველი გახდებოდა გაკვეთილები. ჩამოვაყალიბე მკითხველთა კლუბი, რადგან თუ მოსწავლე არ იქნება კარგი მკითხველი ბუნებრივია მას გაუჭირდება ტექსტის გააზრებაც, ამ მიზნით გამოვიყენე სხვადასხვა ინტერნეტ რესურსი (იხ. ბიბლიოგრაფია). განვახორციელე კითხვის სხვადასხვა სტრატეგიები: „დაუმეგობრდი პერსონაჟს“ - რაც გულისხმობს რომ მოსწავლე თავის საყვარელ პერსონაჟს ხატავს და ახასიათებს.


აღმოჩნდა რომ წითელქუდა მაგალითად, უმრავლესი მოსწავლის საყვარელი გმირი იყო, ვუყურეთ კიდეც ინგლისურ ენაზე. ასევე საგაკვეთილო პროცესში ვიყენებდით როლურ თამაშებს.

იყო სხვადასხვაგვარი სცენები, ხან გვქონდა მხიარული სცენა, ხან დარდიანი, მოსწავლეები კარგად ირგებდნენ როლებს.

ვიყენებდი ასევე სიტყვების ორ სკივრს „ნაცნობი“ და „უცნობი“ - მიდიოდა მოსწავლე სიტყვის ყუთთან, იღებდა ბარათზე დაწერილ სიტყვას, თარგმნიდა, ცოდნის შემთხვევაში აბრუნებდა სიტყვას ყუთში და არ ცოდნის შემთხვევაში გადაჰქონდა უცნობი სიტყვების სკივრში, ასე ხდებოდა პერიოდულად. ამ აქტივობამ საშუალება მომცა გამემდიდრებინა მოსწავლეებისთვის ლექსიკა.

სიტყვის ყუთი.

ცარიელი ყუთი.



ვიცენებდი ასევე აქტივობას „მზარეულობანა“:

მუყაოს პატარა ქარალდზე ვწერთ ტექსტიდან უცხო სიტყვებს როცა გავიაზრებთ ტექსტს და აღმოვაჩენთ რომ რაღაც სიტყვები არ ვიცით. ჩამოვწერ დაფაზე. საჭიროა ბანკნოტები(სათამაშო ფული).

ჯამში ჩაყრილი მაქვს სიტყვები მზარეული აცხობს, ურევს ხელით, მიდის მყიდველი და დაფიდან ირჩევს გამოსაცხობ სიტყვას. მზარეული ეძებს ასოებს და ერთჯერად თევზზე სწორად უწყობს მყიდველს სიტყვას. მას შემდეგ რაც სწორად ააწყობს სიტყვას მზარეული, მყიდველი იხდის ფულს და ასე გრძელდება.

მოსწავლეებს დადებითად განაწყობის და მოტივაციის ამაღლების მიზნით ასევე ვიცენებდი სახალისო აქტივობას **The New Me** – „ახალი მე“. ვთხოვ მოსწავლეებს ჩამოწერონ ციფრები 1-დან 6-მდე. შესაბამის ციფრთან დაწერონ პასუხი შემდეგ კითხვებზე:

1. Write any fruit name. (მაგ. Apple)
2. Write any vegetable name. (მაგ. Cabbage)
3. Write any number from 1-100. (მაგ. 17)
4. Write the answer to the question: Do you like soccer? (Yes)
5. How many pens/pencils do you have in your bag? (Three)
6. What is the first thing you do in the morning? (Snooze alarm)

შემდეგ ვუხსნი მოსწავლეებს, რომ სინამდვილეში ამ კითხვების პასუხები შეესაბამება:

- 1 – თავიანთ სახელს;
- 2 – გვარს;
- 3 – ასაკს;
- 4 – დაქორწინებულია თუ არა;
- 5 – შვილების რაოდენობას;
- 6 – პროფესიას.

როდესაც მოსწავლეები დააკავშირებენ პასუხებს და გახდებიან „ახალი პერსონები – ახალი „მე“, შემდეგ ვთხოვ ყველას ადგნენ და დაიწყონ ერთმანეთის გაცნობა, როგორც ახალი პიროვნების. ვურჩევ მათ რაც შეიძლება მეტი „ახალი ადამიანი“ გაიცნონ და აუცილებლად გამოიყენონ სახის მიმიკა, ხელის ჩამორთმევა, ისევე როგორც რეალური გაცნობისას.

6. 2. ინტერვენციების შეფასება

იმისთვის, რომ გამეგო, რამდენად ეფექტური იყო ჩემ მიერ განხორციელებული ინტერვენციები და რა შედეგი მივიღე მუდმივად ვაკვირდებოდი სამიზნე კლასის მოსწავლეებს მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესში. ვაკვირდებოდი თითოეულ მოსწავლეს რამდენად სწორი იყო ჩემ მიერ შეთავაზებული აქტივობები აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. ჩატარებული მონიტორინგიდან შემიძლია ვთქვა რომ მოსწავლეთა უნარები ტექსტის გააზრებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია, სახალისო აქტივობების ჩართვამ გაკვეთილზე შექმნა დადებითი განწყობა საგნისადმი, რამაც ასევე ხელი შეუწყო ტექსტის გაგება გააზრების უნარის გაუმჯობესებას.

თავი VII

დასკვნა და რეკომენდაციები

ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე სამიზნე კლასის მაგალითზე შემიძლია დავასკვნა რომ თუ საგაკვეთილო პროცესში გამოვიყენებთ მოკლე ილუსტრირებულ ტექსტებს, მრავალფეროვან - შემოქმედებით აქტივობებს, რომლებიც მიმართული იქნება ლექსიკის გამდიდრებისკენ, შესაბამისად მოსწავლეებს გაუადვილებათ წაკითხული ტექსტის გაგება-გააზრება.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის პროცესი რთული წასამართია და ახლავს ბუნებრივი სიძნელებებიც, პრაქტიკამ მაჩვენა, რომ ინგლისური ენის შესწავლაში და წაკითხულის გააზრების კვლევის დროს განხორციელებული აქტივობებიდან შემიძლია ვთქვა რომ უფრო ხშირი უნდა იყოს კოლეგებთან სამუშაო შეხვედრები, იცვლებოდეს ინფორმაცია, ინერგებოდეს სიახლეები, და ტარდებოდეს ტრენინგები სხვადასხვა პრობლემის მოსაგვარებლად.

სამიზნე კლასში ჩატარებული ინტერვენციების შედეგების შეფასებისა და ანალიზის შემდეგ, შევიმუშავე რამდენიმე რეკომენდაცია კოლეგებისთვის და მშობლებისთვის.

რეკომენდაციები მასწავლებლებს

- სასურველია გამოიყენოთ მოკლე ილუსტრირებული ტექსტები.
- ტექსტის წაკითხვამდე აჩვენოთ მოსწავლეებს წაკითხული ტექსტის შესაბამისი მულტფილმი.
- ლექსიკის გამდიდრების მიზნით გამოიყენოთ სახალისო აქტივობები, როგორც არის მაგალითად „ორი ყუთი“, „მზარეულობა“, „ახალი მე“, „მკითხველთა კლუბი“, „მე მიყვარს ინგლისურ ენაზე კითხვა“.

იმედს გამოვთქვამ რომ მშობლებთან და კოლეგებთან უფრო მეტი თანამშრომლობით სასურველ შედეგს მივაღწევთ.

მომავალი წლიდან ვაპირებ მკითხველთა კლუბში გავაერთიანო სხვა კლასის მოსწავლეები და მოვაწყო პრეზენტაციები წაკითხულის შესახებ. რაც საშუალებას მომცემს რეფლექსიის საფუძველზე გავიგო რა იყო საინტერესო, რა გაუჭირდათ, კიდევ რა უნდა გამოვიყენო რომ საკითხი უფრო თვალსაჩინო გახდეს და პრობლემა მთლიანად თუ არა ნაწილობრივ მაინც იქნას მოგვარებული.

დანართი

კითხვარი კოლეგებისთვის

1.რა მეთოდს იყენებ კითხვის გააზრების გასაუმჯობესებლად?

ა) აუდიო მასლას;

ბ) კითხვების დასმა;

გ) როლური თამაშები

2.ტექსტის გააზრებაში იყენებთ თუ არა სწორია/არასწორია?

ა. დიახ. ბ.არა

3. რამდენად ხშირად იყენებთ სიტყვების ჩასმას ტექსტის გააზრებისთვის?

ა.ყოველთვის. ბ. ზოგჯერ გ. არასდროს.

4. გეხმარებათ თუ არა ტექსტის გააზრებაში წინადადებების თანმიმდევრულად დალაგება?

ა.დიახ; ბ. არა

5.თქვენი აზრით როგორი ტექსტების გაგება უადვილდებათ მოსწავლეებს?

ა.ილუსტრირებული ტექსტი.

ბ. მცირე ზომის ტექსტი;

გ. ნაცნობ თემატიკასთან დაკავშირებული ტექსტი.

6. რამდენად ხშირად იყენებ კითხვის სტრატეგიას “როლური თამაშები”? ა.ყოველთვის. ბ. ზოგჯერ
გ. არასდროს

7.რომელი სტრატეგია გეხმარება ტექსტის უკეთ გააზრებაში?

ა. პერსონაჟთა რუკა

ბ. წინარე ცოდნის გააქტიურება

გ. ვარაუდების გამოთქმა

8.რას აკეთებ იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე ვერ იგებს ტექსტს?

ა. აკითხებ ბავშვს მეორედ/მესამედ

ბ. უმარტავთ უცხო სიტყვებს

გ. უსვამ კითხვებს ტექსტის გარშემო

კითხვარი მშობელთათვის

მოგესალმებით, გთხოვთ, მონაწილეობა მიიღოთ გამოკითხვაში, რომელიც ხელს შეუწყობს თქვენს შვილებს წაკითხულის გაგება-გააზრების უნარის გაუმჯობესებაში, მნიშვნელოვანია თქვენი აზრი და დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემდგომი აქტივობების დაგეგმვისათვის. გამოკითხვა ანონიმურია. გამოკითხვას ატარებს: მანანა ბაშინჯაღელი.

(შეგიძლიათ შემოხაზოთ ერთი ან მეტი პასუხი)

1. რამდენად ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის სახლში ინგლისურ ენოვანი ლიტერატურა?

ა) დიახ; ბ) არა

2. თქვენი აზრით რა უადვილდებს ბავშვებს ენის შესწავლას?

ა) მულტფილმების ყურება; ბ) წიგნის კითხვა; გ) სატელევიზიო გადაცემები;

3. თქვენი აზრით საკმარისია თუ არა კვირაში 3 საათი ენის შესწავლისთვის ?

ა) დიახ; ბ) არა

4. თქვენი შვილი ტექსტს (მხატვრული, ზღაპარი, საინფორმაციო, ინსტრუქცია და ა.შ.) კითხულობს და იგებს:

ა) დამოუკიდებლად;

ბ) უფროსის დახმარებით

გ) კითხულობს, მაგრამ ვერ იგებს

5. სთხოვთ თუ არა თქვენს შვილს გადმოგცეთ წაკითხულის შინაარსი:

ა) ყოველთვის

ბ) ხანდახან

გ) არასოდეს

5. სვამს კითხვის დროს შეკითხვებს?

ა) ყოველთვის;

ბ) მხოლოდ მაშინ, როცა ტექსტი მისთვის საინტერესოა

კითხვარი მოსწავლეებისათვის

1.რამდენად ხშირად მიმართავთ კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურას?

ა. ყოველთვის;

ბ) ხშირად ;

გ) არასდროს;

2.როგორი წიგნების კითხვა მოგწონს?

ა) ზღაპრების;

ბ) მოთხრობების;

გ) სხვა (ლექსები, საინფორმაციო ტექსტი...)

3. როდის იგებ წაკითხულ ტექსტს უკეთ?

ა) როცა სხვა მიკითხავს;

ბ) როცა თვითონ ვკითხულობ;

გ) როცა ტექსტს ახლავს ილუსტრაციები.

4. როგორ ისურვებდი წაკითხულის გადმოცემას?

ა) ნახატით;

ბ) თხრობით;

გ) წერილობით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გემა ინგლისური ენის სტანდარტი. 2018-2024 წლები
2. ინასარიძე, ლობჯანიძე „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი“ 2016 წელი
3. კაპეტივაძე მანანა, <http://mastsavlebeli.ge/?p=20252>)
4. ლობჯანიძე სოფიო, „რა არის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა“
5. ლობჯანიძე სოფიო, „როგორ წავმართოთ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევები“, 2012 წელი
6. სვიმონიშვილი ლია, <http://www.etaloni.ge/geo/main/index/8996>
7. ჟურნალი მასწავლებელი, 2016 წ. N5
8. შანიძე თამარ, <http://mastsavlebeli.ge/?p=21033>

რეფლექსია

თანამედროვე სკოლის ამოცანაა მასწავლებელი იყოს მუდმივად პროფესიულ ზრდაში, რათა მოსწავლეებს დეხმაროს სხვადასხვა ამოცანის გადაჭრაში, როგორცაა კითხვა, წერა, სხვადასხვა ზოგადი უნარები, რაც ეროვნული გეგმითაა გათვალისწინებული. თანამედროვე მოსწავლეს და მასწავლებელიც დიდი გამოწვევის წინაშე დგანან, ამიტომ მნიშვნელოვანია როგორ წარიმართება სასწავლო პროცესი. რა უწყობს და უშლის ხელს სასწავლო პროცესს. ერთ-ერთი აქტივობა, რასაც მასწავლებლები სხვადასხვა საკითხის მოსაგავრებლად ვიყენებთ, არის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა.

კვლევა იძლევა საშუალებას, ჩაუღრმავდე და ანალიზი გაუკეთო პრობლემას, რომელიც თან ახლავს კითხვის გაგება-გააზრებას სასწავლო პროცესში.

კვლევა, პირველ რიგში, ახლავს ცოდნის ძიებას.. ამიტომ სხვადასხვა მეთოდი და საფეხური არსებობს მის განსახორციელებლად. ჩემი კვლევისთვის ავირჩიე მე-3 კლასი და გამოვიყენე სხვადასხვა მეთოდი, კერძოდ: ფოკუსირებული დაკვირვება, გამოკიხვა, ანკეტირება და მონაცემთა შეგროვება.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანი იყო დეტალურად შემესწავლა კითხვასთან დაკავშირებული სირთულეები, გამომწვევი პრობლემები და გამომენახა პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზები. საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარე, წამოვაყენე საკვლევი პრობლემა, რომელიც შეეხებოდა კითხვის ეფექტურობას, გამომწვევ პრობლემებს და მისი გაუმჯობესების გზებს. სამიზნე ჯგუფი იყო:

1. მესამე კლასების მოსწავლეები
2. მოსწავლეთა მშობლები
3. ინგლისური ენის კათედრის პედაგოგები

აქტივობების შერჩევისას ვხელმძღვანელობდი პრინციპით: რა უნდა ვიცოდე, რისი უნდა მჯეროდეს, რისი გაკეთება უნდა შემემდლოს, რისი სურვილი უნდა მქონდეს დაროგო რ უნდა ვიქცეოდე, რათა დავეხმარო ჩემს მოსწავლეებს სასურველი სასწავლო მიზნების მიღწევაში.

მონაცემთა შეგროვება განხორციელდა შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

გამოკითხვა – აღნიშნულ მეთოდს მივმართე, რათა პასუხი მიმეღო კითხვებზე: რა ღირებულება აქვს კითხვას?

ანკეტირება – მივმართე ანკეტირებას. კითხვარები მომზადდა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის, ასევე დაწყებითი კათედრის წევრებისათვის. კითხვები იყო დახურული და ანონიმური, რადგან ამ დროს რესპოდენტი არ იზღუდება პასუხის გაცემის დროს გულწრფელია და შესაბამისად, მის მიერ გაცემული პასუხები ზუსტი და სანდოა.

ფოკუსირებული დაკვირვება – ეს მეთოდი გამოვიყენე ეფექტური უკუკავშირის კრიტერიუმებზე დაყრდნობით საგაკვეთილო პროცესის დასაკვირვებლად.

მეორადი მონაცემების ანალიზი – ეს მეთოდი მეორადი მონაცემების დამუშავებისთვის გამოვიყენე.

პრაქტიკული კვლევის საფუძველზე შემიძლია გამოვყო შემდეგი პრობლემები:

- პედაგოგთა შორის ინფორმაციის გაცვლის ნაკლებობა;
- პედაგოგთა და მშობელთა შორის ინფორმაციის გაცვლის ნაკლებობა;
- დიდი ზომის ტექსტები
- არაილუსტრირებული ტექსტები

აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად გადაიღა გარკვეული ნაბიჯები. კერძოდ: გამოვიყენე აქტივობები - 2 ყუთი, მზარეულობა - ლექსიკური მარაგის გასაუმჯობესებლად. გავოვიყენე როლური ტამაშები, განვახორციელე მოკლე ვადიანი პროექტი - „მე მიყვარს ინგლისურ ენაზე კითხვა“ და წავიკითხეთ რამდენიმე ზღაპარი.

გატარებული ინტერვენციების შეფასებისას გამოვლინდა, რომ მათი უმრავლესობა შედეგიანი იყო. კვლევის ანგარიში კოლეგებთან წარვადგინე Power Point-ში მომზადებული პრეზენტაციით, რომელსაც კვლევაში მონაწილე პედაგოგების გარდა, რამოდენიმე დაინტერესებული მასწავლებელიც დაესწრო. გავაცანი კვლევის ყველა ეტაპი, გამოყენებული კვლევის მეთოდები, ასევე ვისაუბრე დასკვნებზე და განხორციელებულ ინტერვენციებზე. იმ პედაგოგებს, რომლებიც არ იყვნენ ჩართული კვლევის პროცესში, გაუჩნდა მრავალი კითხვა, რომელსაც შემდგომისდაგვარად ვპასუხობდი. აღნიშნავდნენ, რომ შემოქმედებითი მიდგომა და მრავალფეროვანი აქტივობები ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას კითხვისადმი და უადვილდებს მათ შენაარსის აღქმას.

პედაგოგებისგან მივიღე საინტერესო და კვალიფიციური უკუკავშირი. მათი რეკომენდაციები საჭირო და დროული იყო. საკვლევი თემა იმდენად საინტერესო იყო მათთვისაც, რომ სურვილი გამოთქვეს განხორციელებული ინტერვენციების საკუთარ პრაქტიკაში განხორციელებისა, რათა გაეუმჯობესებინათ ტექსტის გაგება-გააზრების უნარი. პრეზენტაცია დამეხმარა დამენახა კვლევის ძლიერი და სუსტი მხარეები, დამენახა საკუთარი წინსვლა და ის ხარვეზები, რომელსაც სამომავლოდ გავითვალისწინებ, ეფექტიანად დავგეგმავ და განვახორციელებ ახალ სასწავლო წელს. მომავალი წლიდან ვაპირებ „მკითხველთა კლუბში“ გავაერთიანო სხვადასხვა კლასის მოსწავლეები და მოვაწყო პრეზენტაციები წაკითხულის შესახებ.

